

1. ტექნიკური დავალება.

1.1. შესყიდვის ობიექტი:

1.1.1. ახალი (არანაკლებ 2018 წლის გამოშვება), ექსპლუატაციაში არმყოფი, განბაჟებული, ერთი ერთეული მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანის შესყიდვა.

1.1.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაში საქონლის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის (მათ შორის ტრანსპორტირების, განბაჟების, შემსყიდველზე გადაფორმების) გათვალისწინებით.

1.1.3. პრეტენდენტი ვალდებულია ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების ფასი წარმოადგინოს ავტომანქანების ფლობის ღირებულების ზღვრულ ოდენობაზე (ავტომანქანების ღირებულების, საგარანტიო პერიოდში ავტომანქანების გეგმიური ფასიანი მომსახურების ღირებულების და საწვავის ხარჯის (საპასპორტო მონაცემებით) ჯამი).

1.1.4. ელექტრონული ვაჭრობა განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში ფიქსირებული ავტომანქანების ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობაზე (ავტომანქანების ღირებულებისა და საგარანტიო პერიოდში ავტომანქანების გეგმიური ფასიანი მომსახურების ღირებულების ჯამი) ფასის კლების პრინციპით.

1.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო შემოთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1.2.1. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

1.2.2. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

1.2.3. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

1.3. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1.3.1. საგარანტიო და პოსტსაგარანტიო პირობებით გათვალისწინებული ავტომანქანების მომსახურების განსახორციელებლად მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს არანაკლებ ერთი სერვის ცენტრი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე.

1.4. ანგარიშსწორების პირობა:

1.4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ყველა ავტომანქანის მიწოდების, მათი რეგისტრაცია-გადაფორმების (ფასიანი სახელმწიფო სანომრე ნიშნით AW...AL) შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

1.4.2. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსის) სახით გადაუხდის მიმწოდებელს თანხას, სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ოდენობით, მოთხოვნილ თანხაზე საბანკო გარანტიის (გაცემული ბანკის მიერ) წარმოდგენის შემდეგ, წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში (საავანსო თანხაზე გაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადას). საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ორი ერთეული ავტომანქანის მიწოდების, მათი რეგისტრაცია-გადაფორმების შემდეგ, შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

1.4.3. თანმდები საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების (რაზეც მიმწოდებელთან დაიდება დამატებითი ხელშეკრულება) ანგარიშსწორება მოხდება შესრულებულ მომსახურების მიხედვით, ყოველ ჯერზე გაწეული მომსახურების შემდეგ მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

1.4.4. პრეტენდენტი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს კალკულაციას (საქონლის მახასიათებლები და ბრენდი, რაოდენობა, ცვლის პარამეტრი და ერთეულის ფასი) „ფლობის ღირებულების“ კომპონენტების მიხედვით, რომელიც შემდგომში აისახება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში და ძალაში იქნება ავტომანქანის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე ფლობის განმავლობაში; საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღით ეროვნული ბანკის კურსით უცხოურ ვალუტაში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტაში - საქონლის ფაქტიური მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

დანართი 2

#	მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანების ტექნიკური მოთხოვნები	
1	ძრავის მოცულობა არანაკლებ	1.3
2	ცხენის ძალა	არანაკლებ 82 ცხმ-სი.
3	გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
4	სიგრძე არანაკლებ	3665
5	სიგანე არანაკლებ	1600
6	სიმაღლე არანაკლებ	1575
7	წვა 100 კმ/ზეარაუმეტეს (საწვავის წვა შერეულ ციკლში)	9.3 ლიტრი
8	საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი). 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვლადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისი, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკიდა მომჭიმი საკისარი)
9	უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი	NCAP (ევრო ქრამ ტესტი) ან IIHS ამერიკული ქრამ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამ ტესტი)
10	ელექტრო შუშები	ოთხივე
11	აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
12	აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
13	აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
14	აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
15	აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამამლიერებელი
16	აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
17	გამოშვების წელი	2018
18	კარების რაოდენობა	მინიმუმ 4
19	აუცილებელი მოთხოვნა	ფერი: თეთრი, ვერცხლისფერი ან შეთანხმებით, სავარძლის სიმაღლის მარეგულირებელი, საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
20	აუცილებელი მოთხოვნა	ძრავი: ბენზინის
21	აუცილებელი მოთხოვნა	ცენტრალური საკეტი

22	აუცილებელი მოთხოვნა	ექსპლუატაციაში არ მყოფი
23	აუცილებელი მოთხოვნა	სრული ამძრავი 4X4-ზე